I. ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16 ქულა) 1.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შენობა XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებშია აგებული არქიტექტორი ივანოვის პროექტით. ეს ნაგებობა რომელიც კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურ ძეგლს წარმოადგენს გამოირჩევა სხვადასხვა არქიტექტურული სტილის ნიშან-თვისებათა შერწყმით. სამ სართულიანი შენობის ფასადი ევროპულია ინტერიერი კი აღმოსავლური სასახლეებისათვის დამახასიათებელი მორთულობით არის შემკული. ეზოს მხრიდან შენობას თბილისური ხის აივნები ამშვენებს.

ძეგლის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს სარკეებიანი დარბაზები რომლებიც მორთულია თაბაშირიდან დამზადებული დეკორატიული ორნამენტებით, სპარსულწარწერიანი მედალიონებითა და სტალაქტიტების მსგავსი მშვენიერი ფიგურებით. კედლის მხატვრობა, ბუხრების გაფორმება და ვიტრაჟები ეკუთვნით ირანელ ოსტატებს, ვინც იმ დროს თბილისში სამუშაოდ იყვნენ ჩამოსულნი.

სახლის მაშინდელი მეპატრონეს სურვილით 1902 წელს შენობის მარცხენა ნაწილი შეუცვლიათ. სიმონ კლდიაშვილი, რომელიც ამ ნაგებობის გადასაკეთებლად ყოფილა მოწვეული ფასადი გაუმდიდრებია ბაროკოს სტილის ელემენტებით: ნაძერწი ნიჟარებით, გირლანდებით, ნიღბებითა და სხვა გამოსახულებებით.

ეს ულამაზესი შენობა სხვადასხვა დროს კერძო პირთა საკუთრება იყო. 1922 წელს ქართველ ხელოვანთა დიდი მონდომების შედეგათ მოხდა საქართველოს სამხატვრო აკადემიის დაარსება. იმ დროიდან შენობა ამ უმაღლეს სასწავლებელს ეკუთვნის.

II. წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი (ტექსტი I ან ტექსტი II) და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „სტუმარ-მასპინძელი“:

აი საფლავიც ქისტისა,
ხალხი მოერტყა გარსაო,
მოლა მოჰყვება ლოცვასა,
იხსენებს თავის მკვდარსაო:
– ნუ იტანჯები, დარლაო,
ნუ შეიწუხებ თავსაო,
მოვსდეგით შენნი მოძმენი
შენის სამარის კარსაო,
მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე,
არ გაჭმევთ მტრისა ჯავრსაო.

– ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა! –
ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
ბეწვს იშლის ბრაზმორეული,
როგორაც ვეფხვი – თმასაო.
საკირის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს გულისთქმასაო.
რა მოსდრეკს წარბდაღრუბლვილსა,

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ქედჩაჟანგებულ მთასაო!

აქცევენ ზვიადაურსა,
ყელში აბჯენენ ხმალსაო.
„დარლასამც შაეწირები!“ –
ყველა დასძახის მასაო.
„ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“ –
უპასუხებდა ხალხსაო.
არ იდრიკება ვაჟკაცი,
არ შეიხრიდა წარბსაო.

გაოცდენ ქისტიშვილები,
ხალხი დგებოდა ყალხსაო.
– ლამის რომ არ შაეწიროს
ერთი უყურეთ ძაღლსაო!“ –
ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა
ყელში ურჭობენ ხმალსაო.
„ძაღლ იყოს“, – ყელში ამბობდა,
მანამ მოსჭრიდენ თავსაო!
– უცქირეთ, ერთი უცქირეთ,
არ ახამხამებს თვალსაო!

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, –
ზვიადაური კვდებოდა,
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა...

ქისტები გაწყრენ, იტკიცეს:
ვერ აუსრულდათ წადილი,
ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს
მის შესაფერი სადილი;
დაკლულმა დაჰკლა მათ გული
და გაუცრუა ქადილი.
შეურაცხყოფილთ უნდოდათ
ერთად გაეძროთ ხანჯრები
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
სისხლით ნაღები ფანჯრები.
მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენიანთ:
„ცოდვაა!“ – ყველა ჰფიქრობდა.
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა.
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

„ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?
კარგი ვაჟკაცი ყოფილა,
ყველა ალლახსა ჰფიცავდა,
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა.
მაგრამ „მტერს მტრულად მოექეც“, –
თვითონ უფალმა ბრძანაო,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
გულში ჩავურჭოთ დანაო“.
წავიდნენ, ზვიადაური
ზეზე გაწირეს ტიალად.
თუნდა ძაღლებმა ითრიონ,
ფრინველთა ჯიჯგნონ ზიარად;
„არ შაეწირა, ეგდოსო,
ეგეც ეყოფა ზიანად“.
ამას იძახდენ ქისტები
თავმოწონებით, ხმიანად.
ამ ხმასვე იმეორებდენ
ბნელი ხევები მთიანად.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. რა მიზნით შეიკრიბნენ ქისტები დარლას საფლავთან?

ა) დარლას მოძმეებისათვის პატივი რომ მიეგოთ.
ბ) დარლას საგმირო საქმეები რომ გაეხსენებინათ.
გ) დარლას სიკვდილის გამო შური რომ ეძიათ.
დ) დარლას სულის საოხად ლოცვა რომ აღევლინათ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 3. ზვიადაურის რა თვისება ჩანს სიტყვებში: *„არ შეიხრიდა წარბსაო“*?

ა) გამჭრიახობა.
ბ) გონიერება.
გ) სიმამაცე.
დ) სიმშვიდე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 4. რომელ ფრაზაშია გამოყენებული შედარება?

ა) „ბეწვს იშლის ბრაზმორეული, / როგორაც ვეფხვი – თმასაო“.

ბ) „მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე, / არ გაჭმევთ მტრისა ჯავრსაო“.

გ) „რა მოსდრეკს წარბდაღრუბლვილსა, / ქედჩაჟანგებულ მთასაო!“

დ) „ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“ / უპასუხებდა ხალხსაო“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 5. ქისტების რა ემოციურ მდგომარეობას გამოხატავს სიტყვები: *„ხალხი დგებოდა ყალხსაო“*?

ა) გამბედაობას.
ბ) განრისხებას.
გ) თავზარდაცემას.
დ) შეუდრეკელობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 6. ქისტების რა რეაქცია ჩანს სიტყვებში: *„...გაწყრენ, იტკიცეს“*?

ა) გაოცდნენ.
ბ) იმედი მიეცათ.
გ) იუკადრისეს.
დ) სასო წარეკვეთათ.

[დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე]
[დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე]

(1) 7. რა აზრს გამოხატავს სიტყვები: *„დაკლულმა დაკლა მათ გული“*?

ა) ზვიადაურმა თავისი სიკვდილით ქისტებზე მორალურად გაიმარჯვა.
ბ) ზვიადაურმა თავისი სიკვდილით ქისტების სალოცავები შეურაცხყო.
გ) ზვიადაურმა თავისი სიმტკიცით ქისტებს ადათ-წესებზე ხელი ააღებინა.
დ) ზვიადაურმა თავისი სიმტკიცით ქისტებს შურისძიება გადააფიქრებინა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 8. რატომ გაუცრუვდათ ქისტებს *„ქადილი“*?

ა) დარლას ცოლ-შვილს მწუხარება ვერ გაუქარვეს.
ბ) დარლასთვის მიცემული პირობა ვერ შეასრულეს.
გ) ზვიადაურის მოძმეებზე შური ვერ იძიეს.
დ) მტრის გვამის შეურაცხყოფა ვერ შეძლეს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 9. რომელ ფრაზაშია მეტაფორა?

ა) „თუნდა ძაღლებმა ითრიონ, / ფრინველთა ჯიჯგნონ ზიარად“.
ბ) „მაგრამ „მტერს მტრულად მოექეც“, – / თვითონ უფალმა ბრძანაო“.
გ) „საკირის ცეცხლი ედება / სამსხვერპლოს გულისთქმასაო“.
დ) „ხომ მაგას არ მოვუკლავდით / მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?“

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 10. რით ამართლებენ ქისტები თავიანთ სისასტიკეს?

ა) დარლას ანდერძით.
ბ) მოლას მოთხოვნით.
გ) მტრის სიმრავლით.
დ) ღმერთის ნებით.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

(1) 11. რომელ ფრაზაში ჩანს, რომ ქისტებმა ზვიადაურის შეუდრეკელობა დააფასეს?

ა) „გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, / გული გულადვე რჩებოდა“.
ბ) „ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს / მის შესაფერი სადილი“.
გ) „კარგი ვაჟკაცი ყოფილა, / ყველა ალლახსა ჰფიცავდა“.
დ) „სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, – / ზვიადაური კვდებოდა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეოთხე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. მოწინააღმდეგის ვაჟკაცობამ შესაძლოა მტერშიც კი სინანულის გრძნობა აღძრას.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი II

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი აკა მორჩილაძის რომანიდან „ობოლე“, რომელშიც მთავარი პერსონაჟი მკითხველს თავისი წინაპრებისა და მშობლიური კუთხის, ლეჩხუმის, ისტორიას უყვება:

1918 წელს, მაშინ, როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო, ბოლშევიკები კუთხე-კუთხე დაძრწოდნენ და ცდილობდნენ აჯანყებები მოეწყოთ, არ გვინდა ბურჟუების მმართველობაო. ჩვენს კუთხესაც მოაწიეს და ამ ჩვენს ქალაქსაც, სადაც მაშინ ერობის თავმჯდომარედ სწორედ ტიმოთე ყოფილიყო.

ამ აჯანყების მთელ ამბავს ახლა ნამდვილად ვერ მოვყვები, მაგრამ ის კი ვიცი, რომ აჯანყება დამარცხდა და ბოლშევიკები გაიქცნენ. მთავრობამ, როგორც ადამიანურ მთავრობათა წესია, ჯერ მოლაპარაკება სცადა. ადგნენ და ლევან დადეშქელიანს სთხოვეს, ჩადი და დააწყნარეო. ლევან დადეშქელიანი იყო სვანეთის მთავარი, დიდებული კაცი, ადამიანი და არა ნადირი და იქცეოდა ადამიანივით. რუსეთის იმპერატორები წერილს რომ მოსწერდნენ, ასე მიმართავდნენ: „ბიძავ და დამრიგებელო ჩვენო ლევან!“ მაგრამ არ იყო ჩამოკიდებული ამ თავის მთავრობას, ნამდვილი კაცი იყო და წამოვიდა, მე როგორ არ დამიჯერებენო. ხალხი შეკრიბა მურს[1] დაბლა და დაუწყო ლაპარაკი, დაწყნარდითო, რა არის ბალშევიკობა, იცითო? ჩემი სიტყვის უფრო გჯერათ თუ მაგ ბალშევიკებისო? მოგიგვარებთ ყველაფერსო.

ბაბუაჩემი იყო იქ, კანიკულებზე[2] ჩამოსული თბილისიდან.

ლევან დადეშქელიანს ბრბოდან ესროლეს და მერე ატეხეს ჰაერში სროლა, რომ ხალხი გაფანტულიყო. ის იქავე მოკვდა. ხალხი აირია. მიესივნენ ვიღაცა აჯანყებულები და დაუწყეს გახდაო, ძვირფასი ჩოხა ეცვა და კაი ქამარ-ხანჯალიც ზედ ჰქონდაო. ჩექმაც კი გახადესო.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[1] **მური** - ციხესიმაგრეთა კომპლექსი ლეჩხუმ-სვანეთის საზღვარზე.
[2] **კანიკული** (ბარბარიზმი) - არდადეგები.

ბაბუაჩემი ამბობდა, ეგდო საცვლებშიო. პარტიანკებიც[3] კი წაიღესო. და ყვიროდნენ, დამთავრებულია მაგათი მთავრობაო. რა მთავრობა უნდა სდომებოდა ლევან დადეშქელიანს?! მთავრობა ეხვეწა და სვანების მთავარი იყო და ჩამოვიდა ხალხის დასაწყნარებლად. ისიც მითხრა ბაბუაჩემმა, ვისზე თქვეს, იმან ესროლაო... სხვა არ ესროდა ლევანს, არც ჩამოსული ბოლშევიკებიდანო, ეს იყო ღვთის პირიდან გადავარდნილიო. რაღას გაიგებ, ამბობდნენ და... ეგრე იმდენ რამეს ამბობენ. წამოასვენეს, ნაბადში გაახვიეს და ასე ჰყავდათ ოთხ დღეს სახლში. ქალაქი ორად იყო გაყოფილი, დაბლა აჯანყებული ბოლშევიკები იყვნენ და ტელეგრაფი იმათ ხელში იყო. ტიმოთემ კოწია გაგზავნა, ტელეგრაფისტი მოქრთამე, ტელეგრამა დაკრას, ლევანი მოკლულიაო. თვითონ დაუწერია ეს დეპეშა. მეორე დღეს ქუთაისიდან ჯარი მოვიდა ზარბაზნებით. პოლკოვნიკი მუშთი გარდაფხაძე იყოო, ეგეც სვანი და დააყარა და დაადუღაო. შემევიდენ მეორე დილისკენ მთავრობის ჯარები, დააყენეს მურზე ზარბაზანი და დეიფერთხა ბოლშევიკობაო. მაგრამ, აი, რატომ მოგახსენებთ ამ ძველსა და დარდიან ამბავს: რო მიიპარებოდნენ ქალაქიდან ბოლშევიკები, ვისი ჯავრიც ჰქონდათ, იმათთან მიდიოდნენ და კლავდნენო. ეშმაკურად აკეთებდნენ, ჭიშკრიდან დაუძახებდნენ მსხვერპლს და ისიც რომ გამოხედავდა, მობრძანდიო, დაახლიდნენ და ქრებოდნენ. ოთხი კაცი მოუკლავთ იმ ღამეს ასე. ჩვენში ეგრეა, ჭიშკრიდან რომ დაგიძახებს კაცი, მასპინძელოო, უნდა გაეხმიანო და მოიპატიჟო. ხშირად ის თავპატიჟს გამოიდებს და უნდა გახედო და შემოიყვანო. ეგ იმდენად ჩვეულებრივი ამბავია, რომ არც დაფიქრდები. გინდაც გარშემო ჯარი იდგეს. სტუმარი ან გაჭირვებული წმინდა ამბავია, მოკლედ ისეთი, რომ არ დაუფიქრდები... მთავარი იგი კი არ არი, რაცხას ფიქროფ, მთავარი იგია, რაფერ მეიქცევი.

და დაუძახეს ტიმოთესაც.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11

[3] **პარტიანკი** (ბარბარიზმი) - ტერფზე შემოსახვევი ქსოვილის ნაჭერი ჩექმის შიგნით.

ტიმოთე, ტიმოთეო! და მობრძანდიო, ამან გასძახა.

გამობრძანდი ჭიშკართან, ნუ შემოგვიყვანო..

და ამ დროს დაუძახია კოწიას მაღლა ბალკონიდან, ე, მამა, ნუ გახვალ, მიზანზე მყავს აყვანილი მაგენი, გადასარევად ჩანანო. თურმე მაშინაც ამნაირი მთვარიანი ღამე ყოფილიყო. მოცოცხეთ აქედან ტროცკთან[4] პირდაპირო, ასე დაუძახია კოწიას, ტყუილა ნუ შემომაკლავთ თავსო.

გატრიალებულან და წასულან, მოვბრუნდებით კიდე, ტიმოთე, და ბარგის შეკვრას ვერ მოასწრებო.

მართლა მობრუნდნენ, მაგრამ სამი წლის შემდეგ და საქმე სხვანაირად აეწყო. კოწია კიდევ ეშმაკობდა. ეს კი გაგვიკვირდაო, ბაბუაჩემმა, მაღლა სახლში თოფი არ იყო და თვითონ კოწოც იარაღით არასდროს დადიოდა და იქედან რა დაუმიზნა იმ ბოლშევიკებს, უცბად ვეღარ მოვიწამეთო. რა დაუმიზნა და ობოლე[5]! მაშინ ეს ხალიჩა მაღლა ყოფილიყო გაკრული კედელზე და ობოლეც იქ ყოფილიყო მივანებული. კოწია ნაომარი კაცი იყო და ილეთი ამოუცნია, დაძახებით მოკვლის ამბავი სცოდნია და ხმა რომ გაუგია მაღლა ტახტზე მწოლარეს და მთვრალს, ობოლე მოუხსნია კედლიდან, კი არ გაისვრის, მარა შევაშინებ, სიბნელეში ყველა თოფი ერთნაირიაო. ჩემს ტკბილ ობოლეს იმსიგრძე და ისეთი მოხდენილი ლულა აქვს, რომ სიბნელეში ვის არ შეაშინებდა?! ჰოდა, ასე გადარჩენილა ტიმოთე.

კითხვებზე გადასვლა: 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11.

[4] **ლევ ტროცკი** - ბოლშევიკების პარტიის ლიდერი იმ პერიოდში.
[5] **ობოლე** - წინაპრების დატოვებული ძველისძველი კაჟიანი თოფი.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 2. როდის ხდება ტექსტში აღწერილი მოვლენები?

ა) საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ წლებში.
ბ) საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს.
გ) საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში.
დ) საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის დროს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 3. რა გადაწყვეტილება მიიღო მთავრობამ აჯანყების დაწყებისთანავე?

ა) ბოლშევიკებთან დათმობებზე წასულიყო.
ბ) დახმარება იმპერატორისათვის ეთხოვა.
გ) ამბოხებულებთან მოლაპარაკება გაემართა.
დ) ხელისუფლების მოწინააღმდეგენი დაესაჯა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 4. რას იგებს მკითხველი ლევან დადეშქელიანის შესახებ ფრაზით: *„არ იყო ჩამოკიდებული ამ თავის მთავრობას...“*?

ა) დამოუკიდებელი პიროვნება იყო.

ბ) სხვების ზეგავლენით მოქმედებდა.

გ) ახალ მთავრობას უპირისპირდებოდა.

დ) ყველა მთავრობას ემორჩილებოდა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 5. ვისგან შეიტყო აჯანყების ამბები მთხრობელმა?

ა) მეზობლისაგან, რომელიც აჯანყების მონაწილე ყოფილა.
ბ) ბაბუისაგან, რომელიც აჯანყებას შემთხვევით შესწრებია.
გ) ტიმოთესაგან, რომელიც იმ დროს ერობას თავმჯდომარეობდა.
დ) კოწიასაგან, რომელიც რუსეთის არმიის ყოფილი ჯარისკაცი იყო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 6. რას ნიშნავს ფრაზა: *„ღვთის პირიდან გადავარდნილი“*?

ა) ფარისეველს.
ბ) მლიქვნელს.
გ) ვერაგს.
დ) უხეშს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 7. რა მიზნით იხსენებს ავტორი ამ ძველ *დარდიან* ამბავს?

ა) ადამიანების დაუნდობელი ბუნება რომ აჩვენოს.
ბ) აჯანყების დამარცხების მიზეზი რომ გაარკვიოს.
გ) იმდროინდელი ხელისუფლება რომ გააკრიტიკოს.
დ) ძალმომრეობის შედეგები რომ გააანალიზოს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 8. ქართული ხასიათის რა ნიშან-თვისებებს გამოხატავს ფრაზა: *„სტუმარი ან გაჭირვებული წმინდა ამბავია, მოკლედ ისეთი, რომ არ დაუფიქრდები...“*?

ა) გულუბრყვილობასა და სიბრიყვეს.
ბ) გულისხმიერებასა და თანადგომას.
გ) თვალთმაქცობასა და დაუდევრობას.
დ) მოთმინებასა და თავშეკავებულობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 9. რას აკეთებდნენ გაპარვის წინ ბოლშევიკები?

ა) თავიანთ მხარდამჭერებს უჩუმრად აგულიანებდნენ.
ბ) საკუთარ ოჯახებს ქალაქიდან სასწრაფოდ ხიზნავდნენ.
გ) მოწინააღმდეგეებს ვერაგულად უსწორდებოდნენ.
დ) შეშინებულ ხალხს დაუნდობლად ძარცვავდნენ.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 10. კონტექსტის მიხედვით, პერსონაჟის რა თვისებას გამოხატავს ფრაზა: *„კოწია კიდევ ეშმაკობდა“*?

ა) დაუდევრობას.
ბ) მუხანათობას.
გ) ცნობისმოყვარეობას.
დ) მოხერხებულობას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

(1) 11. რა მიზნით იყენებს ავტორი ტექსტში დიალექტურ ფორმებსა და ბარბარიზმებს?

ა) პერსონაჟისადმი ირონიული დამოკიდებულების გამოსახატავად.
ბ) ავტორისა და პერსონაჟის მეტყველების დასაპირისპირებლად.
გ) იმ ეპოქისა და კუთხის სამეტყველო გარემოს გადმოსაცემად.
დ) ქართული სალიტერატურო ენის უპირატესობის საჩვენებლად.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მესამე გვერდზე

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

(34) 12. ადამიანი ზოგჯერ დაუცველი მაშინ ხდება, როცა სხვა ადამიანებს ენდობა.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.